საქართველოს მთავრობის
განკარგულება
№1847 2011 წლის 14 სექტემბერი ქ. თბილისი

„შიდა აუდიტის სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 ივლისის №1015 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად შეტანილ იქნეს ცვლილება „შიდა აუდიტის სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 ივლისის №1015 განკარგულებაში და ამ განკარგულებით დამტკიცებული შიდა აუდიტის სტანდარტები ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

პრემიერ-მინისტრი ნ. გილაური

დანართი

შიდა აუდიტის სტანდარტები

თავი I
ხარისხობრივი მახასიათებლების სტანდარტები

მუხლი 1. შიდა აუდიტის სუბიექტის დებულება

1. შიდა აუდიტის სუბიექტის საქმიანობის მიზანი, უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა განისაზღვრება შიდა აუდიტის სუბიექტის დებულებით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს „სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ“ საქართველოს კანონს, შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსსა და შიდა აუდიტის სტანდარტებს. შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსმა პერიოდულად უნდა განიხილოს შიდა აუდიტის დებულება და მასში შესაბამისი ცვლილების განხორციელების მიზნით წარუდგინოს წინადადებები დაწესებულების ხელმძღვანელს.

განმარტება

შიდა აუდიტის დებულება არის სამართლებრივი აქტი, რომელიც განსაზღვრავს შიდა აუდიტის სუბიექტის მიზანს, უფლებამოსილებასა და პასუხისმგებლობას. შიდა აუდიტის დებულებით განისაზღვრება შიდა აუდიტის სუბიექტის სტატუსი დაწესებულებაში, ასევე შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსის ფუნქციონალური ანგარიშვალდებულების არსი დაწესებულების ხელმძღვანელის წინაშე; ჩანაწერებთან, თანამშრომლებთან და მატერიალურ/არამატერიალურ ქონებასთან (აქტივებთან) წვდომის უფლებამოსილება შესაბამისი შიდა აუდიტორული შემოწმების შესრულებისას ასევე

დებულებით დგინდება შიდა აუდიტის საქმიანობის ფარგლები. შიდა აუდიტის დებულებას ამტკიცებს დაწესებულების ხელმძღვანელი.

2. შიდა აუდიტის დებულებაში შიდა აუდიტის არსი, შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსი და შიდა აუდიტის სტანდარტები აღიარებული უნდა იქნეს სავალდებულო წესით.

მუხლი 2. დამოუკიდებლობა და ობიექტურობა

შიდა აუდიტის სუბიექტი და შიდა აუდიტორი უნდა იყოს დამოუკიდებელი და ობიექტურად ასრულებდეს თავის საქმიანობას.

განმარტება

დამოუკიდებლობა არის იმ შეზღუდვებისაგან თავისუფლება, რომლებიც საფრთხეს უქმნის შიდა აუდიტის სუბიექტის მიერ შიდა აუდიტორული პასუხისმგებლობის მიუკერძოებლად შესრულების შესაძლებლობას. შიდა აუდიტის სუბიექტზე დაკისრებულ პასუხისმგებლობათა ეფექტიანად შესასრულებლად აუცილებელი დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსს უნდა ჰქონდეს პირდაპირი და შეუზღუდავი წვდომა დაწესებულების ხელმძღვანელთან.

ობიექტურობა არის მიუკერძოებელი დამოკიდებულება, რაც შიდა აუდიტორებს შესაძლებლობას აძლევთ განახორციელონ საქმიანობა ისე, რომ სჯეროდეთ თავიანთი საქმიანობის და არ დაუშვან ხარისხთან დაკავშირებული კომპრომისები. ობიექტურობა მოითხოვს, რომ შიდა აუდიტორებმა არ დაუქვემდებარონ აუდიტის საკითხებთან დაკავშირებული მსჯელობა სხვებს.

დამოუკიდებლობასა და ობიექტურობასთან დაკავშირებული საფრთხეები უნდა იმართებოდეს თითოეული შიდა აუდიტორის, აუდიტორული შემოწმების, ფუნქციურ და ორგანიზაციულ დონეებზე.

მუხლი 3. ორგანიზაციული დამოუკიდებლობა

1. შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსი დაწესებულებაში ანგარიშგებას უნდა წარადგენდეს დაწესებულების ხელმძღვანელის წინაშე, რომელიც უზრუნველყოფს შიდა აუდიტის სუბიექტის პასუხისმგებლობათა განხორციელებას.

2. დაწესებულების ხელმძღვანელი უზრუნველყოფს შიდა აუდიტის სუბიექტის ფუნქციურ და ორგანიზაციულ დამოუკიდებლობას.

განმარტება

ორგანიზაციული დამოუკიდებლობა ეფექტურად მიიღწევა, როცა შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსი ფუნქციურად ანგარიშვალდებულია დაწესებულების ხელმძღვანელის წინაშე. ფუნქციური ანგარიშვალდებულების მაგალითებია დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ:

ა) შიდა აუდიტის დებულების დამტკიცება;

ბ) შიდა აუდიტის სტრატეგიული და წლიური გეგმების დამტკიცება;

გ) შიდა აუდიტის უფროსისაგან ინფორმაციის მიღება შიდა აუდიტის სუბიექტის მუშაობის მიმდინარეობის შესახებ;

დ) შიდა აუდიტის უფროსის წარდგინებით შიდა აუდიტორის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

3. შიდა აუდიტის სუბიექტი შიდა აუდიტის ფარგლების განსაზღვრის, სამუშაოს შესრულებისა და შედეგების წარდგენის დროს დამოუკიდებელი უნდა იყოს ჩარევისგან.

4. შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსს პირდაპირი ურთიერთობა და კომუნიკაცია უნდა ჰქონდეს დაწესებულების ხელმძღვანელთან.

მუხლი 4. პიროვნული დამოუკიდებლობა

შიდა აუდიტორებს უნდა ჰქონდეთ განუხრელი, ობიექტური პოზიციები და თავი აარიდონ ინტერესთა კონფლიქტს.

განმარტება

ინტერესთა კონფლიქტი ისეთი გარემოებაა, რომელშიც შიდა აუდიტორს აქვს კონკურენტული, პროფესიონალური ან პირადი ინტერესი. მსგავს კონკურენტულ ინტერესებს შეუძლია გაართულოს შიდა აუდიტორის ვალდებულებების მიუკერძოებლად შესრულება. ინტერესთა კონფლიქტი შეიძლება არსებობდეს არაეთიკური ან არასათანადო ქმედებების გარეშეც. ინტერესთა კონფლიქტმა შესაძლოა წარმოშვას არასათანადო აღქმა, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს შიდა აუდიტორის, მისი პროფესიისა და შიდა აუდიტის სუბიექტის მიმართ ნდობის დაკარგვა. ინტერესთა კონფლიქტმა შესაძლოა ზიანი მიაყენოს შიდა აუდიტორის შესაძლებლობას, ობიექტურად შეასრულოს თავისი მოვალეობა და პასუხისმგებლობა.

მუხლი 5. დამოუკიდებლობის ან ობიექტურობის შეზღუდვა

1. თუკი დამოუკიდებლობა ან ობიექტურობა ფაქტობრივად ან გარეგნულად შეიზღუდა, ეს გამჟღავნებული უნდა იყოს დაწესებულების ხელმძღვანელთან. გამჟღავნების ფორმა დამოკიდებულია შეზღუდვის სახეზე.

განმარტება

ორგანიზაციულ დამოუკიდებლობასა და ობიექტურობაზე ზიანი შესაძლოა მოიცავდეს, მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს, პირადი ინტერესთა კონფლიქტით, თანამშრომლებზე, საკუთრებაზე, რესურსებზე, მათ შორის, დაფინანსებასა და ჩანაწერებზე წვდომის შეზღუდვებით.

2. შიდა აუდიტორებმა თავი უნდა შეიკავონ იმ ოპერაციების შემოწმებისა და შეფასებისაგან, რომელთა შესრულებაზეც ისინი წარსულში იყვნენ პასუხისმგებელნი.

3. იმ საქმიანობის შემოწმება, რომლისთვისაც პასუხისმგებელია შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსი, უნდა განხორციელდეს შიდა აუდიტის სუბიექტის გარეთ მყოფი მესამე მხარის მეთვალყურეობით.

4. შიდა აუდიტორებს უფლება აქვთ გასწიონ კონსულტაცია იმ ოპერაციების თაობაზე, რომელთა შესრულებისათვისაც ისინი წარსულში იყვნენ პასუხისმგებელნი.

5. იმ შემთხვევაში, თუ შიდა აუდიტორებს დამოუკიდებლობა და ობიექტურობა შეეზღუდებათ შიდა აუდიტორული შემოწმების ჩატარების დროს, ეს ფაქტი დაწესებულების ხელმძღვანელთან გამჟღავნებული უნდა იქნეს მისი გამოვლენისთანავე.

მუხლი 6. კვალიფიკაცია

1. შიდა აუდიტორებმა საქმიანობა უნდა განახორციელონ კვალიფიციურად და სათანადო პროფესიონალურ დონეზე.

2. შიდა აუდიტორებს უნდა ჰქონდეთ ცოდნა, უნარ-ჩვევები და სხვა საჭირო შესაძლებლობები ინდივიდუალურ ვალდებულებათა შესასრულებლად. შიდა აუდიტის სუბიექტის საქმიანობის განსახორციელებლად შიდა აუდიტორები კოლექტიურად უნდა ფლობდნენ ან მოიპოვებდნენ ცოდნას, უნარ-ჩვევებსა და სხვა შესაძლებლობებს.

განმარტება

ცოდნა, უნარები და სხვა შესაძლებლობები – პროფესიულ კვალიფიკაციასთან დაკავშირებული ტერმინია, რაც უკავშირდება კოლექტიურად შიდა აუდიტორების პროფესიულ კომპეტენტურობას მათ მიერ პროფესიული პასუხისმგებლობის ეფექტიანად შესასრულებლად. შიდა აუდიტორებისათვის რეკომენდებულია მათი კვალიფიკაციის წარმოჩენა სათანადო პროფესიული სერტიფიკატებისა და კვალიფიკაციების მეშვეობით.

3. შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსმა უნდა მიიღოს კომპეტენტური რჩევა, როდესაც შიდა აუდიტორებს არა აქვთ საკმარისი ცოდნა, უნარები და სხვა შესაძლებლობები თავიანთი საქმიანობის სრულად ან მისი ნაწილის შესასრულებლად.

4. შიდა აუდიტორებს უნდა ჰქონდეთ საკმარისი ცოდნა იმისათვის, რომ შეაფასონ თაღლითობის რისკი და დაწესებულების მიერ მისი მართვის ღონისძიებები, მაგრამ მათ არ მოეთხოვებათ ჰქონდეთ იმ სახის პროფესიული ცოდნა, რომლის უმთავრესი ამოცანაა თაღლითობის გამოვლენა და გამოძიება.

5. შიდა აუდიტორებს უნდა ჰქონდეთ საინფორმაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებული უმთავრესი რისკების, კონტროლის მექანიზმებისა და ტექნოლოგიაზე დაფუძნებული აუდიტის მეთოდების საკმარისი ცოდნა იმისათვის, რომ შეასრულონ დაკისრებული ფუნქცია. თუმცა, ყველა აუდიტორს არ მოეთხოვება, რომ ჰქონდეს იმ შიდა აუდიტორის ექსპერტული ცოდნა, რომლის უმთავრესი პასუხისმგებლობაა საინფორმაციო ტექნოლოგიების აუდიტი.

6. თუ შიდა აუდიტორებს არა აქვთ საკმარისი ცოდნა, უნარები და სხვა შესაძლებლობები საქმიანობის სრულად ან მისი ნაწილის შესასრულებლად, შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსმა უარი უნდა თქვას შიდა აუდიტორული შემოწმების ჩატარებაზე, ან მიიღოს კომპეტენტური რჩევა.

მუხლი 7. სათანადო პროფესიონალური დამოკიდებულება

1. შიდა აუდიტორებმა უნდა გამოიჩინონ პროფესიონალური დამოკიდებულება და უნარ-ჩვევები, ისე, როგორც მოეთხოვება გონივრულ, წინდახედულ, კომპეტენტურ შიდა აუდიტორს. სამუშაოსადმი პროფესიონალური დამოკიდებულება არ გულისხმობს უშეცდომობას.

2. შიდა აუდიტორებმა უნდა გამოიჩინონ საქმისადმი სათანადო პროფესიონალური დამოკიდებულება, შემდეგი ასპექტების გათვალისწინებით:

ა) სამუშაოს მოცულობა, რომელიც საჭიროა საქმიანობის მიზნების მისაღწევად;

ბ) საკითხების შედარებითი სირთულე, არსებითობა და მნიშვნელობა;

გ) მმართველობითი, რისკის მართვისა და კონტროლის სისტემის ადეკვატურობა და ეფექტურობა;

დ) მნიშვნელოვანი შეცდომების, თაღლითობის, ან შეუსაბამობის ალბათობა;

ე) გაწეული ხარჯი პოტენციურ სარგებელთან მიმართებაში.

3. პროფესიონალური დამოკიდებულების გამოვლენის დროს, შიდა აუდიტორებმა უნდა განიხილონ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული აუდიტისა და მონაცემთა ანალიზის სხვა მეთოდების გამოყენების შესაძლებლობა.

4. შიდა აუდიტორებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ დაწესებულების მნიშვნელოვან რისკებზე, რომლებმაც შესაძლოა გავლენა იქონიონ დაწესებულების მიზნებზე, ამოცანებზე, ოპერაციებსა და რესურსებზე, თუმცა მათ მიერ განხორციელებული პროფესიონალური ქმედებები არ იძლევა ყველა მნიშვნელოვანი რისკის გამოვლენის გარანტიას.

5. შიდა აუდიტორებმა პროფესიონალური დამოკიდებულება უნდა გამოიჩინონ შიდა აუდიტორული შემოწმების გაწევისას, შემდეგი ასპექტების გათვალისწინებით:

ა) დაწესებულების ხელმძღვანელის მოთხოვნები და მოლოდინი, მათ შორის, შიდა აუდიტორული შემოწმების სახე, შესრულების ვადა და შედეგების წარდგენის ფორმა;

ბ) სამუშაოს შედარებითი სირთულე და მოცულობა, რაც აუცილებელია შიდა აუდიტორული შემოწმების მიზნების მისაღწევად;

გ) გაწეული ხარჯი პოტენციურ სარგებელთან მიმართებაში.

მუხლი 8. უწყვეტი პროფესიონალური განვითარება

შიდა აუდიტორებმა უნდა გააუმჯობესონ თავიანთი ცოდნა, უნარები და სხვა შესაძლებლობები უწყვეტი პროფესიონალური განვითარების გზით.

მუხლი 9. ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების პროგრამა

შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსმა უნდა შეიმუშაოს და შეინარჩუნოს ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების პროგრამა, რაც მოიცავს შიდა აუდიტის სუბიექტის საქმიანობის ყველა ასპექტს.

განმარტება

ხარისხის გაუმჯობესების პროგრამის შემუშავება ხდება შიდა აუდიტის არსსა და შიდა აუდიტის სტანდარტებთან შიდა აუდიტის სუბიექტის საქმიანობის შესაბამისობის დასადგენად და ასევე შიდა აუდიტორების მიერ შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსის გამოყენების შესაფასებლად. პროგრამა ასევე აფასებს შიდა აუდიტის სუბიექტის საქმიანობის ეფექტურობასა და პროდუქტიულობას და ახორციელებს გაუმჯობესების შესაძლებლობების დადგენას.

მუხლი 10. ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების პროგრამის მოთხოვნები

1. ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების პროგრამამ უნდა მოიცვას შიდა და გარე შეფასებები.

2. შიდა შეფასებებმა უნდა მოიცვას:

ა) შიდა აუდიტის სუბიექტის საქმიანობის შედეგების მიმდინარე მონიტორინგი;

ბ) პერიოდული მიმოხილვები, განხორციელებული თვითშეფასების მეშვეობით, ან დაწესებულებაში არსებული სხვა პირების მეშვეობით, რომელთაც გააჩნიათ შიდა აუდიტის პრაქტიკის საკმარისი ცოდნა.

განმარტება

მიმდინარე მონიტორინგი წარმოადგენს შიდა აუდიტის სუბიექტის საქმიანობის ყოველდღიური ზედამხედველობის, მიმოხილვისა და შეფასების განუყოფელ ნაწილს. მიმდინარე მონიტორინგი ჩართულია შიდა აუდიტის სუბიექტის საქმიანობის სამართავად გამოყენებულ ყოველდღიურ პრაქტიკაში. იგი იყენებს პროცესებს, საშუალებებსა და ინფორმაციას, რაც აუცილებელია შიდა აუდიტის არსთან, შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსსა და შიდა აუდიტის სტანდარტებთან შესაბამისობის შესაფასებლად.

პერიოდული მიმოხილვები შიდა აუდიტის არსთან, შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსსა და შიდა აუდიტის სტანდარტებთან შესაბამისობის შესაფასებლად გამოიყენება.

შიდა აუდიტის პრაქტიკის შესახებ საკმარისი ცოდნა მოითხოვს სულ მცირე საერთაშორისო პროფესიული პრაქტიკის საფუძვლების ელემენტების გაგებას.

3. გარე შეფასებები უნდა განხორციელდეს სულ მცირე ხუთ წელიწადში ერთხელ, გარედან მოწვეული კვალიფიციური, დამოუკიდებელი მიმომხილველის ან მიმომხილველთა ჯგუფის მიერ. შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსმა დაწესებულების ხელმძღვანელთან ერთად უნდა განიხილოს:

ა) უფრო ხშირი გარე შეფასებების საჭიროების საკითხი;

ბ) გარე შემფასებლისა ან შემფასებელთა ჯგუფის კვალიფიკაცია და დამოუკიდებლობა, მათ შორის, პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის არსებობის ჩათვლით.

განმარტება

კვალიფიციური გარე მიმომხილველი ან მიმომხილველთა ჯგუფი ავლენს კომპეტენტურობას შიდა აუდიტის საქმიანობისა და გარე შეფასების პროცესში. კომპეტენტურობის დემონსტრირება ხდება გამოცდილებისა და თეორიული ცოდნის ნაზავით. მსგავსი ზომის, სირთულის, სექტორის ან დარგის დაწესებულებებსა და ტექნიკურ საკითხებში მიღებული გამოცდილება უფრო ღირებულია, ვიდრე ნაკლებად შესაბამისი გამოცდილება. მიმომხილველთა ჯგუფის თითოეულ წევრს არ მოეთხოვება ჰქონდეს ყველა შესაძლებლობა, არამედ მთელი ჯგუფი ერთობლიობაში უნდა იყოს კვალიფიციური. შიდა აუდიტის უფროსი პროფესიული მსჯელობის შედეგად, აფასებს მიმომხილველის ან მიმომხილველთა ჯგუფის საკმარისად კომპეტენტურობას, რათა ჩაითვალოს კვალიფიციურად.

დამოუკიდებელი მიმომხილველი ან მიმომხილველთა ჯგუფი ნიშნავს ფაქტობრივი და ხილული ინტერესთა კონფლიქტის არარსებობას. იგი არ მიეკუთვნება და არ არის იმ დაწესებულების კონტროლის ქვეშ, რომელსაც შიდა აუდიტის სუბიექტი ეკუთვნის.

მუხლი 11. ანგარიშგება ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების პროგრამაზე

შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსმა დაწესებულების ხელმძღვანელს უნდა წარუდგინოს ინფორმაცია ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების პროგრამის შედეგების შესახებ.

განმარტება

ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების პროგრამის შედეგების ფორმა, შინაარსი და სიხშირე დგინდება დაწესებულების ხელმძღვანელთან გამართული დისკუსიების შედეგად შიდა აუდიტის დებულებაში მოცემული შიდა აუდიტის სუბიექტის საქმიანობისა და შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსის პასუხისმგებლობის გათვალისწინებით. შიდა აუდიტის არსთან, შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსსა და შიდა აუდიტის სტანდარტებთან შესაბამისობის წარმოჩენის მიზნით, გარე და პერიოდული შიდა შეფასების შედეგების მიწოდება ხდება ამ შეფასებების დასრულებისთანავე, ხოლო მიმდინარე მონიტორინგის შედეგები მიეწოდება სულ მცირე ყოველწლიურად. შედეგები მოიცავს მიმომხილველის ან მიმომხილველთა ჯგუფის შეფასებებს შესაბამისობის ხარისხთან დაკავშირებით.

მუხლი 12. „შეესაბამება შიდა აუდიტის სტანდარტებს“ ფრაზის გამოყენება

1. შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსმა შესაძლოა განაცხადოს, რომ შიდა აუდიტის სუბიექტის საქმიანობა შეესაბამება შიდა აუდიტის სტანდარტებს მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების პროგრამის შედეგები ადასტურებს ამ განცხადებას.

განმარტება

როცა შიდა აუდიტის სუბიექტის საქმიანობა აღწევს შიდა აუდიტის არსით, შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსითა და შიდა აუდიტის სტანდარტებით აღწერილ შედეგებს, იგი შეესაბამება შიდა აუდიტის სტანდარტებს. ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების პროგრამის შედეგები მოიცავს შიდა და გარე შეფასებით მიღებულ შედეგებს. ყველა შიდა აუდიტის სუბიექტს ექნება შიდა შეფასების შედეგები. შიდა აუდიტის სუბიექტებს, რომლებიც არსებობენ სულ მცირე ხუთი წლის მანძილზე, აგრეთვე ექნებათ გარე შეფასების შედეგები.

2. თუ შიდა აუდიტის არსთან, შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსთან, ან შიდა აუდიტის სტანდარტებთან შეუსაბამობა გავლენას ახდენს შიდა აუდიტის სუბიექტის საქმიანობაზე, შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსმა ეს შეუსაბამობა და მისი შედეგი უნდა მოახსენოს დაწესებულების ხელმძღვანელს.

თავი II
საქმიანობის სტანდარტები

მუხლი 13. შიდა აუდიტის სუბიექტის საქმიანობის მართვა

შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსმა ეფექტურად უნდა მართოს შიდა აუდიტის სუბიექტის საქმიანობა, რათა დარწმუნდეს, რომ იგი დამატებითი სარგებლის მომცემია დაწესებულებისათვის.

განმარტება

შიდა აუდიტის სუბიექტის საქმიანობა ეფექტურად იმართება, როცა:

ა) შიდა აუდიტის სუბიექტის საქმიანობის შედეგები აღწევს შიდა აუდიტის დებულებით განსაზღვრულ მიზანსა და ამოცანებს;

ბ) შიდა აუდიტის სუბიექტის საქმიანობა შეესაბამება შიდა აუდიტის არსსა და შიდა აუდიტის სტანდარტებს;

გ) შიდა აუდიტორები წარმოაჩენენ შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსსა და შიდა აუდიტის სტანდარტებთან შესაბამისობას.

შიდა აუდიტის სუბიექტის საქმიანობას სარგებელი მოაქვს დაწესებულებისათვის, როცა ის ხელს უწყობს მმართველობის, რისკის მართვისა და შიდა კონტროლის პროცესების ეფექტიანობის ამაღლებას.

მუხლი 14. პოლიტიკა და პროცედურები

შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსმა უნდა ჩამოაყალიბოს შიდა აუდიტის სუბიექტის საქმიანობის სახელმძღვანელო პოლიტიკა და პროცედურები.

განმარტება

პოლიტიკისა და პროცედურების ფორმა და შინაარსი დამოკიდებულია შიდა აუდიტის სუბიექტის სიდიდეზე, სტრუქტურასა და სამუშაოს სირთულეზე.

მუხლი 15. შიდა აუდიტის დაგეგმვა

1. შიდა აუდიტის გეგმის სახეებია:

ა) შიდა აუდიტის სტრატეგიული გეგმა;

ბ) შიდა აუდიტის წლიური გეგმა;

გ) აუდიტორული შემოწმების ინდივიდუალური გეგმა.

2. შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსმა უნდა შეადგინოს რისკზე დაფუძნებული წლიური და სტრატეგიული გეგმა, რომელიც განსაზღვრავს დაწესებულების მიზნების შესაბამისად, შიდა აუდიტის სუბიექტის საქმიანობის პრიორიტეტებს.

განმარტება

შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსი ვალდებულია შეიმუშაოს რისკზე დაფუძნებული სტრატეგიული და წლიური გეგმა. შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსი მხედველობაში იღებს დაწესებულების რისკის მართვის კონცეპტუალურ საფუძვლებს, მათ შორის, ხელმძღვანელთა მიერ სხვადასხვა საქმიანობასა და დაწესებულების სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან დაკავშირებული რისკის დონეებს, რომელიც დაწესებულებისათვის მისაღებია. თუ ეს კონცეპტუალური საფუძველი არ არსებობს, შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსი დაწესებულების ხელმძღვანელთან კონსულტაციის შემდეგ იყენებს რისკების შესახებ საკუთარ მსჯელობას.

3. შიდა აუდიტის დაგეგმვა ხორციელდება რისკის შეფასების საფუძველზე და მისი შედეგები უნდა აისახოს შიდა აუდიტის სტრატეგიულ გეგმაში, რის მიხედვითაც უნდა შემუშავდეს შიდა აუდიტის წლიური გეგმა.

4. შიდა აუდიტის სტრატეგიულ გეგმას შეიმუშავებს შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსი და ამტკიცებს დაწესებულების ხელმძღვანელი. შიდა აუდიტის სტრატეგიული გეგმა გამომდინარეობს დაწესებულების გრძელვადიანი მიზნებიდან, მოიცავს 3-წლიან პერიოდს და განსაზღვრავს შიდა აუდიტის სფეროში სტრატეგიული განვითარების მიმართულებებს.

5. შიდა აუდიტის წლიურ გეგმას ადგენს შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსი და ამტკიცებს დაწესებულების ხელმძღვანელი. შიდა აუდიტის წლიური გეგმა ეფუძნება შიდა აუდიტის სტრატეგიულ გეგმას და შეიცავს კონკრეტულ შიდა აუდიტორულ შემოწმებებს.

6. შიდა აუდიტის წლიურ გეგმაში, რეკომენდაციების შესრულების ადეკვატურობის, ეფექტურობისა და დროულობის შეფასებისთვის, უნდა გაიწეროს გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი.

7. შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსის წინადადებით შიდა აუდიტის სტრატეგიულ და წლიურ გეგმებში ნებისმიერი ცვლილება ხორციელდება რისკის შეფასების საფუძველზე.

8. შიდა აუდიტის წლიური და სტრატეგიული გეგმა მტკიცდება დაგეგმილი პერიოდის დაწყებამდე.

9. შიდა აუდიტის წლიურ და სტრატეგიულ გეგმებს ან მათში განსახორციელებელ ცვლილებებს ამტკიცებს დაწესებულების ხელმძღვანელი და ეგზავნება ჰარმონიზაციის ცენტრს.

მუხლი 16. რესურსების მართვა

შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსი უნდა დარწმუნდეს, რომ შიდა აუდიტის რესურსები შესაბამისია, საკმარისია და ეფექტიანად გამოიყენება დამტკიცებული გეგმის შესასრულებლად.

განმარტება

ტერმინი „შესაბამისი“ ნიშნავს გეგმის შესასრულებლად საჭირო ცოდნის, უნარებისა და სხვა შესაძლებლობების ერთობლიობას. ტერმინი „საკმარისი“ ნიშნავს გეგმის შესასრულებლად საჭირო რესურსების რაოდენობას. რესურსები ეფექტურად იმ შემთხვევაში გამოიყენება, როცა დამტკიცებული გეგმა ოპტიმალურადაა შესრულებული.

მუხლი 17. კოორდინაცია

შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსი შემოწმებისა და შეფასების გამწევ სხვა შიდა და გარე მხარეებთან ერთად ახორციელებს ინფორმაციის ურთიერთგაცვლას და ასევე საქმიანობათა კოორდინაციას, რომლითაც უზრუნველყოფს შიდა აუდიტის ობიექტის სათანადო ჩართულობის ხარისხსა და სამუშაოთა გაორმაგების მინიმიზაციას.

მუხლი 18. ანგარიშგება დაწესებულების ხელმძღვანელის წინაშე

შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსმა, ხელმძღვანელთან შეთანხმებული სიხშირით, უნდა წარუდგინოს მას ანგარიში გეგმასთან მიმართებაში შიდა აუდიტის სუბიექტის საქმიანობის მიზნის, უფლებამოსილებისა და ამოცანების შედეგის შესახებ. ანგარიშმა ასევე უნდა მოიცვას მნიშვნელოვან რისკებსა და შიდა კონტროლთან დაკავშირებული საკითხები, მათ შორის, თაღლითობის რისკები, მმართველობითი საკითხები და სხვა, რაც მოთხოვნილია დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ.

განმარტება

ანგარიშის წარდგენის სიხშირე და შინაარსი განისაზღვრება დაწესებულების ხელმძღვანელთან განხილვის დროს და დამოკიდებულია დაწესებულების

ხელმძღვანელისადმი მიწოდებული ინფორმაციის მნიშვნელოვნობასა და მათი მხრიდან განსახორციელებელი ქმედებების სისწრაფეზე.

მუხლი 19. საქმიანობის არსი

შიდა აუდიტის სუბიექტმა, სისტემატური და თანამიმდევრული მიდგომის გამოყენებით, უნდა შეაფასოს და წვლილი შეიტანოს მმართველობითი, რისკის მართვისა და კონტროლის პროცესების გაუმჯობესებაში.

მუხლი 20. მმართველობა

1. შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსმა უნდა შეაფასოს და გასწიოს სათანადო რეკომენდაციები მმართველობითი პროცესის გასაუმჯობესებლად, რათა მიღწეულ იქნეს შემდეგი მიზნები:

ა) დაწესებულებაში სათანადო ეთიკისა და ღირებულებების გავრცელების ხელშეწყობა;

ბ) დაწესებულების საქმიანობის შედეგების მართვის ეფექტურობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა;

გ) დაწესებულების შესაბამის თანამშრომლებზე რისკისა და კონტროლის შესახებ ინფორმაციის მიწოდება;

დ) ჰარმონიზაციის ცენტრს, გარე და შიდა აუდიტორებსა და ხელმძღვანელობას შორის ინფორმაციის გაცვლა და მათი საქმიანობის კოორდინაცია.

2. შიდა აუდიტის სუბიექტმა უნდა შეაფასოს დაწესებულების ეთიკასთან დაკავშირებული მიზნების, პროგრამებისა და საქმიანობების მიმართულებები, შესრულება და ეფექტიანობა.

3. შიდა აუდიტის სუბიექტმა უნდა შეაფასოს უზრუნველყოფს თუ არა დაწესებულების საინფორმაციო ტექნოლოგიების მმართველობა დაწესებულების სტრატეგიებისა და მიზნების შესრულებას.

მუხლი 21. რისკის მართვა

1. შიდა აუდიტის სუბიექტმა უნდა შეაფასოს რისკის მართვის პროცესების ეფექტურობა და ხელი შეუწყოს მათ გაუმჯობესებას.

განმარტება

რისკის მართვის პროცესების ეფექტურობის განსაზღვრა ეფუძნება შიდა აუდიტის მიერ განხორციელებული შეფასებიდან გამომდინარე მსჯელობას, რომ:

ა) დაწესებულების მიზნები ეხმიანება და შესაბამისობაშია მის ამოცანებთან;

ბ) გამოვლენილი და შეფასებულია არსებითი რისკები;

გ) შეირჩევა რისკის მიმართ სათანადო მიდგომები, რომლებიც შეუსაბამებენ რისკებს დაწესებულების რისკის დონეს, რომელიც დაწესებულებისათვის მისაღებია;

დ) შესაბამისი რისკების შესახებ ინფორმაცია გროვდება და დროულად გადაეცემა დაწესებულებაში შემავალ ერთეულებს, რაც თანაშრომლებსა და ხელმძღვანელებს ეხმარება თავიანთი ფუნქციების შესრულებაში.

რისკის მართვის პროცესების მონიტორინგი ხორციელდება დაწესებულების ხელმძღვანელობის მიმდინარე საქმიანობის ჩარჩოებში, სპეციალური შეფასების დახმარებით, ან ორივეს ერთად გათვალისწინებით.

2. შიდა აუდიტის სუბიექტმა უნდა შეაფასოს დაწესებულების მმართველობით სისტემასთან, ოპერაციებთან და საინფორმაციო სისტემებთან დაკავშირებული რისკები შემდეგ საკითხებთან მიმართებაში:

ა) ფინანსური და ოპერაციული ინფორმაციის სანდოობა და უტყუარობა;

ბ) ოპერაციებისა და პროგრამების ეფექტურობა და ეფექტიანობა;

გ) აქტივების დაცულობა;

დ) კანონმდებლობასთან, მარეგულირებელ დოკუმენტებთან, ინსტრუქციებთან, პროცედურებსა და კონტრაქტებთან შესაბამისობა.

3. შიდა აუდიტის სუბიექტმა უნდა შეაფასოს თაღლითობის არსებობის ალბათობა, და თუ როგორ მართავს დაწესებულების ხელმძღვანელობა თაღლითობის რისკს.

4. შიდა აუდიტორებმა შემოწმებიდან მიღებული რისკების თაობაზე ცოდნა უნდა გამოიყენონ დაწესებულების რისკის მართვის პროცესების შეფასებაში.

5. დაწესებულების ხელმძღვანელისათვის რისკის მართვის პროცესების ჩამოყალიბებაში ან გაუმჯობესებაში დახმარების გაწევისას, შიდა აუდიტორებმა თავი უნდა შეიკავონ რისკების მართვაში ჩარევისგან, რაც დაწესებულების ხელმძღვანელის უშუალო კომპეტენციაა.

მუხლი 22. კონტროლი

1. შიდა აუდიტის სუბიექტი უნდა დაეხმაროს დაწესებულებას ეფექტური კონტროლის მექანიზმების შენარჩუნებაში ეფექტურობისა და ეფექტიანობის შეფასებისა და მუდმივი სრულყოფის ხელშეწყობის გზით.

2. შიდა აუდიტის სუბიექტმა უნდა შეაფასოს დაწესებულების მმართველობის მიერ რისკების კონტროლის მექანიზმების ადეკვატურობა და ეფექტურობა, ოპერაციულ საქმიანობასა და საინფორმაციო სისტემებში, შემდეგ საკითხებთან მიმართებაში:

ა) ფინანსური და ოპერაციული ინფორმაციის სანდოობა და უტყუარობა;

ბ) ოპერაციებისა და პროგრამების ეფექტურობა და ეფექტიანობა;

გ) აქტივების დაცულობა;

დ) კანონმდებლობასთან, მარეგულირებელ დოკუმენტებთან, ინსტრუქციებთან, პროცედურებსა და კონტრაქტებთან შესაბამისობა.

3. შიდა აუდიტორებმა შემოწმებიდან მიღებული კონტროლის მექანიზმების ცოდნა უნდა გამოიყენონ დაწესებულების კონტროლის პროცესების შეფასებისას.

მუხლი 23. შიდა აუდიტორული შემოწმების დაგეგმვა და მიზნები

1. შიდა აუდიტორული შემოწმების დაგეგმვისას შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსმა უნდა განიხილოს:

ა) შიდა აუდიტის ობიექტის მიზნები და მისი საქმიანობის შედეგის კონტროლის საშუალებები;

ბ) შიდა აუდიტის ობიექტის მიზნებთან, რესურსებსა და ოპერაციებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები, ასევე რისკის შესაძლო ზეგავლენის მისაღებ დონეზე შენარჩუნების საშუალებები;

გ) შიდა აუდიტის ობიექტის რისკის მართვისა და კონტროლის პროცესების ადეკვატურობა და ეფექტურობა შესაბამისი კონტროლის მოდელთან შედარებით;

დ) შიდა აუდიტის ობიექტის საქმიანობის მართვისა და კონტროლის პროცესების მნიშვნელოვანი გაუმჯობესების შესაძლებლობები.

2. მიზნები განსაზღვრული უნდა იქნეს თითოეული შიდა აუდიტორული შემოწმების დროს.

3. შიდა აუდიტორებმა უნდა განახორციელონ შიდა აუდიტის ობიექტის შესაბამისი რისკების წინასწარი შეფასება. შემოწმების მიზნებში უნდა აისახოს ამ შეფასების შედეგები.

4. შიდა აუდიტორული შემოწმების მიზნების შემუშავების დროს, შიდა აუდიტორებმა უნდა გაითვალისწინონ მნიშვნელოვანი შეცდომების, თაღლითობის, შეუსაბამობისა და სხვა რისკების ალბათობა.

5. შიდა აუდიტორული შემოწმების მიზნები უნდა შეესაბამებოდეს დაწესებულების ღირებულებებს, სტრატეგიებსა და ამოცანებს.

მუხლი 24. შიდა აუდიტორული შემოწმების ფარგლები

1. შიდა აუდიტორული შემოწმების მიზნებისათვის ჩამოყალიბებული ფარგლები უნდა იყოს საკმარისი.

2. შიდა აუდიტორული შემოწმების ფარგლებმა უნდა მოიცვას შესაბამისი სისტემები, მონაცემები, პერსონალი და აქტივები, მათ შორის, მესამე მხარის სარგებლობაში არსებული დაწესებულების ნებისმიერი აქტივის ჩათვლით.

3. შიდა აუდიტორული შემოწმების განხორციელების დროს შიდა აუდიტორები უნდა დარწმუნდნენ, რომ შემოწმების ფარგლები საკმარისია შეთანხმებული მიზნების მისაღწევად. თუ შიდა აუდიტორებს წარმოეშვებათ ეჭვი შემოწმების ფარგლებთან მიმართებაში, ეს ფაქტი განხილული უნდა იქნეს დაწესებულების ხელმძღვანელთან, რათა გადაწყდეს, გაგრძელდეს თუ არა შემოწმება ამ სახით.

4. შიდა აუდიტორული შემოწმების გაწევის დროს, შიდა აუდიტორებმა, შემოწმების მიზნების შესაბამისად, ყურადღება უნდა მიაქციონ კონტროლთან დაკავშირებულ საკითხებს.

მუხლი 25. რესურსების გადანაწილება

შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსმა შიდა აუდიტორული შემოწმების მიზნების მისაღწევად უნდა განსაზღვროს შესაბამისი და საკმარისი რესურსები თითოეული შემოწმების სახისა და სირთულის, დროითი შეზღუდვებისა და არსებული რესურსების შეფასების საფუძველზე.

მუხლი 26. შიდა აუდიტორული შემოწმების ინდივიდუალური გეგმა

1. შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსმა შემოწმების მიზნების მისაღწევად უნდა შეიმუშაოს და დაამტკიცოს შიდა აუდიტორული შემოწმების ინდივიდუალური გეგმა.

2. ინდივიდუალურმა გეგმამ უნდა მოიცვას შემოწმების დროს ინფორმაციის იდენტიფიკაციის, შეგროვების, ანალიზის, შეფასებისა და დოკუმენტირების პროცედურები. ინდივიდუალური გეგმა დამტკიცებული უნდა იქნეს მის განხორციელებამდე და, ასევე მყისიერად უნდა დამტკიცდეს მასში ნებისმიერი ცვლილება.

3. შესაძლოა შიდა აუდიტორული შემოწმების სახიდან გამომდინარე, ინდივიდუალური გეგმა ფორმითა და შინაარსით განსხვავებული იყოს ერთმანეთისაგან.

მუხლი 27. შიდა აუდიტორული შემოწმების განხორციელება

შიდა აუდიტორებმა უნდა მოახდინონ საკმარისი ინფორმაციის იდენტიფიკაცია, შეგროვება, ანალიზი, შეფასება და დოკუმენტირება, შემოწმების მიზნების მისაღწევად.

მუხლი 28. ინფორმაციის იდენტიფიკაცია და შეგროვება

შიდა აუდიტორებმა უნდა განახორციელონ საკმარისი, საიმედო, შესაბამისი და სასარგებლო ინფორმაციის იდენტიფიკაცია და შეგროვება შემოწმების მიზნების მისაღწევად.

განმარტება

საკმარისი ინფორმაცია ეფუძნება ფაქტებს, არის ადეკვატური და იმდენად დამაჯერებელი, რომ საღად მოაზროვნე და ინფორმირებული ნებისმიერი პირი მივა იგივე დასკვნამდე, როგორზეც მივიდოდა შიდა აუდიტორი. საიმედო ინფორმაცია სათანადო მომსახურების ტექნიკის გამოყენების შედეგად ყველაზე მეტად ხელმისაწვდომი ინფორმაციაა. შესაბამისი ინფორმაცია პასუხობს შემოწმების შედეგად არსებულ დაკვირვებებსა და რეკომენდაციებს და შეესაბამება შემოწმების მიზნებს. სასარგებლო ინფორმაცია ეხმარება დაწესებულებას მიზნების მიღწევაში.

მუხლი 29. ანალიზი და შეფასება

შიდა აუდიტორებმა შიდა აუდიტორული ანგარიშები და შემოწმების შედეგები უნდა დააფუძნონ სათანადო ანალიზსა და შეფასებებს.

მუხლი 30. ინფორმაციის დოკუმენტირება

1. შიდა აუდიტორებმა შესაბამისი ინფორმაციის დოკუმენტირება უნდა განახორციელონ შიდა აუდიტორული ანგარიშებისა და შიდა აუდიტორული შემოწმების შედეგების დასასაბუთებლად.

2. შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსმა უნდა გააკონტროლოს შემოწმების მონაცემებზე წვდომა. შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსმა ამგვარი მონაცემების გარეშე პირთათვის გადასაცემად უნდა მოიპოვოს დაწესებულების ხელმძღვანელის თანხმობა.

3. შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსმა უნდა შეიმუშაოს შემოწმების შედეგად მონაცემთა შენახვის მოთხოვნები, მიუხედავად თითოეული მონაცემის შენახვის საშუალებისა. აღნიშნული შენახვის მოთხოვნები უნდა შეესაბამებოდეს შესაბამის მარეგულირებელ აქტებსა და სხვა მოთხოვნებს.

4. შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსმა უნდა შეიმუშაოს შიდა აუდიტორული შემოწმების შედეგად მოპოვებულ მონაცემთა შენახვის მართვისა და ასევე მათი შიდა და გარეშე პირებზე გავრცელების პოლიტიკა, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს შესაბამის მარეგულირებელ აქტებსა და სხვა მოთხოვნებს.

მუხლი 31. ზედამხედველობა შიდა აუდიტორული შემოწმების პროცესზე

შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსის მიერ უნდა ხორციელდებოდეს სათანადო ზედამხედველობა შიდა აუდიტორული შემოწმების გაწევის პროცესზე, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მიზნების მიღწევა, სამუშაოს ხარისხი და თანამშრომელთა განვითარება.

განმარტება

საჭირო ზედამხედველობის ხარისხი დამოკიდებული იქნება შიდა აუდიტორების პროფესიონალურ დონეზე, გამოცდილებასა და შემოწმების სირთულეზე. შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსს აქვს საერთო პასუხისმგებლობა შემოწმების ზედამხედველობის გასაწევად, ამ შემოწმების შიდა აუდიტის სუბიექტის მიერ თუ შიდა აუდიტის სუბიექტის საქმიანობის გაწევის მიუხედავად.

მუხლი 32. შედეგების შესახებ ინფორმირება

1. შიდა აუდიტორებმა უნდა განახორციელონ შიდა აუდიტორული შემოწმების შედეგების შესახებ ინფორმირება. ინფორმაციამ უნდა მოიცვას შიდა აუდიტორული შემოწმების მიზნები, ფარგლები და, ასევე შესაბამისი შეფასებები, რეკომენდაციები და სამოქმედო გეგმები.

2. შიდა აუდიტორული შემოწმების მიმდინარეობისა და შუალედური შედეგების შესახებ ინფორმირება შიდა აუდიტორული შემოწმების სახისა და დაწესებულების ხელმძღვანელის მოთხოვნების შესაბამისად შეიძლება იყოს სხვადასხვა ფორმისა და შინაარსის.

3. მიწოდებული ინფორმაცია უნდა იყოს ზუსტი, ობიექტური, გასაგები, ლაკონური, კონსტრუქციული, სრული და დროული.

განმარტება

ზუსტად მიწოდებული ინფორმაცია თავისუფალია შეცდომებისა და ცდომილებებისაგან და ფაქტების ჩვენებით არის გამყარებული. ობიექტური კომუნიკაციები არის სამართლიანი, მიუკერძოებელი და წარმოადგენს სამართლიანად განწყობილი და გაწონასწორებული ყველა შესაბამისი ფაქტებისა და გარემოებების შეფასების შედეგს. მკაფიო კომუნიკაცია არის ადვილად გასაგები, ლოგიკური, არ მოიცავს უსარგებლო ტექნიკურ ტერმინოლოგიას და სრულად იძლევა მნიშვნელოვანსა და შესაბამის ინფორმაციას. მოკლე კომუნიკაციები ეხება განსახილველ საკითხს და არ მოიცავენ არააუცილებელ გადახვევებს, ზედმეტ დეტალებს, გადაჭარბებასა და უხვსიტყვაობას. კონსტრუქციული კომუნიკაციები არის სასარგებლო შიდა აუდიტის ობიექტისა და დაწესებულებისთვის და იძლევა საჭირო გაუმჯობესებებს. დროული კომუნიკაციები არის კეთილსაიმედო და მიზნობრივი, საკითხის მნიშვნელოვნობიდან გამომდინარე, რათა შიდა აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელსა და დაწესებულების ხელმძღვანელს კორექციის განხორციელების საშუალება მიეცეს.

4. თუ საბოლოო ინფორმაცია მოიცავს მნიშვნელოვან შეცდომას ან გამოტოვებას, შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსმა უნდა განახორციელოს შესწორებული ინფორმაციის მიწოდება ყველა მხარეზე, რომელთაც მიიღეს პირველადი ინფორმაცია.

მუხლი 33. შედეგების გავრცელება

1. შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსმა უნდა განახორციელოს შემოწმების შედეგების მიწოდება შესაბამის მხარეებზე.

2. შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსი პასუხისმგებელია საბოლოო შედეგების იმ მხარეებისათვის მიწოდებაზე, რომლებიც უზრუნველყოფენ შედეგების სათანადოდ განხილვას და თავიანთი მოსაზრებების წარმოდგენას შედეგებთან დაკავშირებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

3. შედეგების დაწესებულების გარეთ გავრცელებამდე შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსმა უნდა:

ა) შეაფასოს დაწესებულებისათვის შესაძლო მოსალოდნელი რისკი;

ბ) განახორციელოს კონსულტაცია დაწესებულების ხელმძღვანელთან;

გ) მოახდინოს შედეგების გავრცელებაზე კონტროლი მათ გამოყენებაზე შეზღუდვის დაწესების გზით.

4. შიდა აუდიტორული შემოწმების დროს შესაძლოა გამოვლინდეს პრობლემები მმართველობითი, რისკის მართვისა და კონტროლის სფეროებში. როცა ეს საკითხები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაწესებულებისათვის, მათი წარდგენა უნდა მოხდეს დაწესებულების ხელმძღვანელის წინაშე.

მუხლი 34. შიდა აუდიტორული შემოწმების ანგარიში

შიდა აუდიტორული შემოწმების ანგარიში უნდა მოიცავდეს შიდა აუდიტორული შემოწმების შესახებ საბოლოო შედეგებს და მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დაწესებულების ხელმძღვანელის მოლოდინი. ანგარიში გამყარებული უნდა იყოს საკმარისი, საიმედო, შესაბამისი და სასარგებლო ინფორმაციით.

მუხლი 35. შიდა აუდიტორული შემოწმების ანგარიშის შესრულების მონიტორინგი

1. შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსმა შემოწმების შედეგების მიხედვით და შიდა აუდიტის ობიექტის მიერ შემუშავებული გაცემული რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმაზე დაყრდნობით, უნდა შეიმუშაოს გასატარებელ ღონისძიებათა მონიტორინგის სისტემა.

2. შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსმა უნდა ჩამოაყალიბოს რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის პროცესი, რათა დარწმუნდეს დაწესებულების ხელმძღვანელობის მიერ გასატარებელი ღონისძიებების ეფექტურ შესრულებაში.

3. შიდა აუდიტის სუბიექტმა უნდა უზრუნველყოს შიდა აუდიტორული შემოწმების ანგარიშში ასახული შედეგების მონიტორინგი დაწესებულების ხელმძღვანელთან შეთანხმების საფუძველზე.